www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სპეციალური გამოშვება

უფასო

# თენდება



## ანტიდასავლური ძალების გამარჯვება არჩევნებში

**"24 საათის" სტუმარია "მისტერ გაფართოება", აშშ-ს ნატო-ს კომიტეტის თავმჯდომარე და გარდამავალი დემოკრატიების ფორუმის დამფუძნებელი ბატონი ბრუს ჯექსონი**

შოთა უტიაშვილი

**- როგორ შეაფასებთ საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს?**

- აშშ-ს მთავრობის წარმომადგენლების, ისევე როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების აზრით, ამ არჩევნების შედეგები იყო ტოტალურად გაყალბებული. არჩევნები არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს. იგი უარყოფით გავლენას იქონიებს როგორც ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაზე, ისე მის ევროპულ ინტეგრაციაზე, და ზოგადად, საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტზე.

სამწუხაროდ, არჩევნების შედეგები ანტიდასავლური ძალების დაბრუნებას მიანიშნებს.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს აჭარაში მომხდარი სრული გაყალბება. ეს იყო ყველაზე ანტიდემოკრატიული შედეგები იმ არჩევნებს შორის, რაც წელს კავკასიაში ჩატარდა. ის ვერ აკმაყოფილებდა შავი ზღვის რეგიონის დემოკრატიულ სტანდარტებსაც კი. მე ვფიქრობ, რომ უახლოეს საათებში ვაშინგტონი, ბრიუსელი, ანკარა გააკეთებენ ოფიციალურ განცხადებებს, რითაც მთლიანად დაგმობენ ამ არჩევნებს.

იმის თქმა, რომ არჩევნების შედეგებს გმობენ მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციები და კლინტონის ადმინისტრაციის წევრები, ტყული იქნება. მე თვითონ რესპუბლიკელი ვარ. რესპუბლიკური პარტიის ბოლო ორ კონვენციაზე პარტიის საგარეო პოლიტიკური კომისიის წევრი ვიყავი, ვიყავი მისი თავმჯდომარე 2000 წელს. საქართველოს არჩევნების შესახებ ორივე პარტიის აზრი ერთმანეთს ემთხვევა.

ამ არჩევნებს ექნება უარყოფითი გავლენა დასავლეთის ინტერესებზე რეგიონში და ყველა იმაზე, ვინც საქართველოში ამ ინტერესებს წარმოადგენს.

არჩევნების ჩვენეულ შეფასებას იზიარებს ევროკავშირი და ყველა უმნიშვნელოვანესი დასავლური ინსტიტუტი.

**- თუ იქნება ოფიციალური განცხადებები ამერიკიდან და ევროპიდან?**

- ვფიქრობ, ორშაბათს დილით, ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ს დედაქალაქებში შეფასებები გაკეთდება. ევროპის საბჭო და სხვა ინსტიტუტები თავიანთ შეფასებებს უახლოეს მომავალში გააკეთებენ.

**- როგორ უნდა გადაწყდეს კრიზისი? თქვენი რეკომენდიცია.**

- ოპოზიციური პარტიები მშვიდად უნდა იყვნენ, ქუჩაში გამოსვლისას თავი უნდა შეიკავონ არადემოკრატიული მოთხოვნებისაგან.

ჩვენ არ გვინდა, რომ გაყალბებულმა არჩევნებმა ძალადობა ან სახელმწიფო გადატრიალება გამოიწვიოს. ესეც არადემოკრატიული შედეგი იქნება.

ჩემი აზრით, გამოსავალი მდგომარეობს იმაში, რომ, რაკი არჩევნების შედეგები ტოტალურად გაყალბდა აჭარაში, რაკი სხვა რეგიონებშიც ის სერიოზულ ეჭვს იწვევს, შედეგები უკანონოდ უნდა გამოცხადდეს. შედეგები კონსტიტუციური გზით უნდა გაუქმდეს და დაინიშნოს ახალი არჩევნები.

### მიხაილ გორბაჩოვი:

## "საქართველო სენისგან უნდა განიკურნოს"

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა, სსრკ ექს-პრეზიდენტმა მიხაილ გორბაჩოვმა მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე "24 საათის" შეკითხვას, თუ როგორ კომენტარს გაუკეთებდა საქართველოში საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შექმნილ სიტუაციას, ასეთი პასუხი გასცა:

**"ედუარდ შევარდნაძისა და ქართველი ხალხისადმი ჩემი განსაკუთრებულად თბილი დამოკიდებულების მიუხედავად, უნდა ვაღიარო, რომ დღეს სახეზე გვაქვს საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის სერიოზული კრიზისი. კრიზისი მოიტანა არჩევნების შემდეგ ოპოზიციის გამოსვლებმა, რასაც, სამწუხაროდ, ჯერაც ბოლო არ უჩანს. ნებისმიერ კრიზისს ახლავს განმუხტვა. ეს კრიზისი ახალი მმართველი პოლიტიკური სისტემის შექმნით უნდა დასრულდეს. შექმნილ ვითარებაში რუსეთი დღეს საქართველოს საშინაო პროცესებში არ უნდა ჩაერიოს. რუსეთი დღეს დაინტერესებულია საქართველოში კრიზისული ვითარების განმუხტვაში, რომ ჩვენს მეზობლად სტაბილურობა იყოს. ვერავინ მოგცემთ დღეს მზამზარეულ რეცეპტს. თქვენ თავად უნდა გაერკვეთ ყველაფერში, მაგრამ, მინდა ვუთხრა ქართველებს, რომ ნუ დაღონდებიან. ადამიანები ავად ხდებიან ხოლმე, მაგალითად, გრიპით. ჩათვალეთ, რომ საქართველოს დღეს გრიპი შეეყარა და იგი ამ სენისაგან უნდა განიკურნოს."**

# შევარდნაძის გადადგომის უტყუარი არგუმენტი

## გუშინდელი საპროტესტო მიტინგის მონაწილეთა გამოკითხვა

*თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხალხი ქუჩაში, ოპოზიციამ კი არა, შევარდნაძემ გამოიყვანა. რუსთაველის გამზირზე საქართველოს ათასობით მოქალაქე სწორედ მისი გადადგომის სურვილმა და სურნელებამ გააერთიანა. ეს ოცნება იმდენად სანუკვარი აღმოჩნდა, რომ, პოლიციის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, რაიონებიდან ხალხმა მაინც ჩამოაღწია. მიტინგზე ყველაზე საოცარი სანახავები იყვნენ ქვემო ქართლიდან ფეხით ჩამოსული და ჯვრიანი დროშის ქვეშ მდგარი აზერბაიჯანელები. მათ ნალაპარაკევს თარგმანის გარეშე გთავაზობთ, რომ ის გულისტკივილი არ დავკარგოთ.*



ზაზა ფაჩუაშვილი

**ტახირ ახმედოვი**: "ფეშკომ ფრიეხალი იზ ბოლნისი. ს ნაჩალა მაშინა, ფოტომ ფეშკომ ჩერეზ გორი. ტამ ფალიცია სტაიტ, ნი კავო ნე პუსკაეტ."

**სავდიხ გარიბოვი**: "ია პრიეხალ იზ გაჩიანი. ია დეპუტატ გაჩიანსკოგო საკრებულო. ია აცენივაიუ ეტა ვიბორი – ვააბშე ნოლ. ვსე პალიცია ბილ ვ ნუტრი უბანი ი ნიკავო ნე პუსტილ. ია დუმაიუ, ჩტო ნაშუ გასუდარსტვუ, გრუზიუ... დოლჟენ პრიტი ტაკიე ლიუდი, კაკ მიშა. ვი ნე დუმაიტე, ჩტო ბოლშენსტვო აზერბაიჯანცევ დესტვიტელნა ოტდაიუტ სვოი გოლოს ზა შევარდნაძე. ეტა აბსალიუტნა ნე ტაკ. კტო გალასავალ ზა შევარდნაძე, ტამუ დენგი დავალი."

**ალექსერ მირზაევი**: "მი ფრიეხალი იზ გარდაბანი. ვსე პოლიცეისკიე ზაკრილი დოროგუ. მი თოჟე, მაშინა ი ფეშკომ. ტე ლიუდი, კოტორიე გოლოსოვალი ზა შევარდნაძე, პო დესიტ ლარი დენგი პოლუჩალი. უ კავო ბალშოი სემია, 15 ლარ დავალი. ფრავახრანითელნიე ორგანი ბილი იხნი ლიუდი.

ფრივიზლი ბოევიკი ი ვიგანიალი ნაროდ. ნას იზბივალი ი ნე დავალი გალასავათ. პრედსედატელ იზბირატელნოი კამისიი რუკი რასპუსკალ."

**ვაგიზ მამედოვი**: "ია ჟითელ ფახლავო. თამ ვსე გალასავალი ზა მურადხანოვ-სააკაშვილი. ანი ფოტოომ... შთო თვარილიი... იაშიკ ფოდოჟგლი, ფალამალი... ონი ბანდითი ვააბშე... ი მამალადზე, ონი დალჟნი ვ თურმე სიდეთ."

**გოგი დოლიძე**, პროფესორი: "არჩევნები არ ჩატარებულა. როგორც აღმოჩნდა, ჩაფიქრებული იყო არჩევნების თავიდან ბოლომდე გაყალბება. 300 ათასი თუ 500 ათასი ამომრჩეველი, შეიძლება, არაფერი იყოს უკრაინისთვის, რუსეთისთვის. ჩვენთვის ეს არის ამომრჩეველთა 30 პროცენტი და როცა ამდენ ადამიანს არჩევანის უფლებას ჩამოართმევ, ის არჩევნები ჩატარებულად არ უნდა ჩაითვალოს.

ამ ქვეყანაში რაღაც უნდა დამთავრდეს, შეიცვალოს. არჩევნები უნდა გამოცხადდეს ჩაშლილად და ჩატარდეს ხელახალი არჩევნები."

**ჯემალ მანჯგალაძე**, პარლამენტის აპარატის თანამშრომელი: "ჩემი აზრით, საქართველოში და არა მარტო აქ, არ მოიძებნება კაცი, რომელიც ამ არჩევნებს დადებითად შეაფასებს. აქედან გამომდინარე, "ბურჯანაძე-დემოკრატები" სწორად მოიქცნენ. ასეთ დანიშნულ პარლამენტში შესვლა არ ღირს. მე მგონი, ყველაფერი შეიცვლება. არ შეიძლება, ამდენ ხალხს ანგარიში არ გაუწიონ".



**აკაკი ანდღულაძე**, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი: "ჩვენი გამოსვლა არის სულ მთლად სწორი იმის გამო, რომ მთავრობამ უნდა აღიაროს ჩვენი უფლება და მიგვიჩნიოს ადამიანებად. შევარდნაძეს არა აქვს უფლება, ქართველი ხალხის სახელით ილაპარაკოს. ეს ხალხის დღევანდელი გამოსვლიდანაც ჩანს. ლოგიკით, სიმართლემ, ხალხმა უნდა გაიმარჯვოს, იმიტომ, რომ შევარდნაძეს ყოველგვარი რესურსი ამოეწურა."



**ქალბატონები** აფხაზეთიდან დევნილი პედაგოგები: "ეს არჩევნები არ ყოფილა, შვილო. ეს ხელისუფლების პროვოკაციაა. მე პირადად წამართვეს ხმის უფლება. არჩევნებამდე ორი დღის წინ სიაში ვიყავი, მერე - აღარ. როცა ვიკითხე, ვის მივმართო-მეთქი, მიპასუხეს - როგორც ყველა ლტოლვილი, შენც ავანტიურისტი ხარო.

ახლა ყველაფერი ხალხზეა დამოკიდებული. თუ ჩვენ საკუთარ ხმებს ბოლომდე დავიცავთ, აუცილებლად გავიმარჯვებთ."



**ნორა ბაბიევა,** თბილისი: "მოვედი იმის გულისთვის, რომ არ დავკარგო ჩემი ხმა. ჩემი პატიოსნება იკარგება. ოპოზიციას მხარში ვუდგავარ და აქედან ფეხს არ მოვიცვლი, გინდა, თოვლი მოვიდეს, გინდა – წვიმა. სიმართლემ უნდა გაიმარჯვოს და გაიმარჯვებს კიდეც."



**ფორმიანი,** "სრულიად საქართველოს მეომარ ვეტერენთა კავშირის" წევრი: "ვეტერანები ოპოზიციას მხარს ვუჭერთ. ეს იყო ხალხის დაცინვა. როგორც უნდოდათ, ისე ყრიდნენ ბიულეტენებს. ოფიციოზმა უკან უნდა დაიხიოს. მე ამის იმედი მაქვს და კიდევ იმის, რომ ლიდერები საქმეს სწორად წარმართავენ"



**გორელები:** "გორიდან წამოვედით "პაზიკით", "გაზელებით" და პატარა მანქანებით. ავუხვიეთ სოფელ სენეკზე. მერე ვიარეთ მინდვრებით. იგოეთის თავზე ტყეზე გადმოვიარეთ. ნატახტარის "ტეკის" თავზე კლდეზე გადმოვიარეთ. მერე მაინც შევეჩეხეთ პოლიციას, წინააღმდეგობაც გაგვიწიეს, მაგრამ მაინც ჩამოვაღწიეთ. 31 საარჩევნო უბანი იყო და ყველგან გაყალბება მოხდა. შუქს ჩააქრობდნენ, ცოტა ხანში აანთებდნენ და თითქმის ცარიელი ყუთი ნახევრამდე იყო ავსებული.

პოლიციის წარმომადგენლები შედიოდნენ უბნებზე და იძახოდნენ, რასაც გვინდა, იმას გავაკეთებთო. შავი სამყაროს წარმომადგენლებს "პლანი" დაურიგეს, რომ იმათ ევლოთ და ამომრჩევლებზე ზეწოლა მოეხდინათ. მაგრამ სიმართლე მაინც გაიმარჯვებს."



მიტინგზე ყველა ერთსულოვანი იყო. "სიმართლემ უნდა გაიმარჯვოს, შევარდნაძე უნდა გადადგეს!" – ამბობდნენ ისინი.

ერთმა კახელმა კი შევარდნაძის გადადგომის უტყუარი არგუმენტიც დაასახელა – **"კახელი კაცი რო მაგითვინ თბილისში ჩამოვალ... მა ეგეთი პრეზიდენტი არ უნდა გადადგეი?!"**

# ბარიკადების მეორე მხარეს

თამარ ხორბალაძე

ერთი კვირაა, სარედაქციო დავალებით, ბარიკადების სამთავრობო მხარეზე ვდგავარ - სახელმწიფო კანცელარიაში, ანუ იქ, სადაც მიაჩნიათ, რომ ოპოზიციის ერთ ნაწილს სურს ხელისუფლების უზურპაცია და სისხლისღვრა.

იქ, სადაც ღიად საუბრობენ იმაზე, რომ უკან არ დაიხევენ და არ დათმობენ იმას, რაც "მათია".

სადაც ამბობენ, რომ თუ ოპოზიციის ლიდერები ხალხს კანცელარიისკენ წამოსაყვანად "გასწირავენ", შედეგები ძალიან მძიმე იქნება, რადგან უკვე გაცემულია შესაბამისი ბრძანება.

სადაც განგიმარტავენ, რომ ოპოზიციის, ანუ დღევანდელი მომიტინგეების გამარჯვებასა და აჭარის დაკარგვას შორის ტოლობის ნიშანი უნდა დასვა.

ვდგავარ იქ, სადაც ფარებითა და ხელკეტებით შეიარაღებული ნიღბებიანი და ჩაფხუტებიანი "ფორმიანები" და სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ძალოვანები ოპოზიციას "ელიან", დროდადრო კი, სიტუაციის გამწვავების კვალდაკვალ, ჟურნალისტებს ხან გვირჩევენ, ხან კი გვთხოვენ ტერიტორიის დატოვებას (რა თქმა უნდა, უშედეგოდ).

ვდგავარ იქ, სადაც დარწმუნებით გიმტკიცებენ, რომ დღევანდელი ბრძოლა სხვა არაფერია, თუ არა ბრძოლა სკამისათვის;

სადაც ამბობენ, რომ ძალაუფლების ხელში ჩაგდების გარდა, არავითარი სხვა მოტივაცია ამ ოპოზიციას არ აქვს; ხალხი კი, ვინც მათ მხარს უჭერს, უბრალოდ "გაცუცურაკებულია".

ბარიკადების ამ მხარეს ასე არა მხოლოდ მსხვილი სახელისუფლებო ჩინები, არამედ მეტ-ნაკლებად წვრილფეხა ჩინოვნიკებიც საუბრობენ.

ამ არჩევნებმა დაადასტურა, რომ დღევანდელი ხელისუფლების მმართველობის პირობებში (მიუხედავად იმისა, ჟვანია იქნება საარჩევნო პულტთან, ჯორბენაძე თუ კიდევ ვინმე სხვა), არჩევნების რეალურ ბედს ორად ორ რეგიონში "მობილიზებული" ხმები წყვეტს: აჭარის ხმები, რომლის მასშტაბებმა ყოველგვარ ლოგიკურ ფარგლებს გადააჭარბა (ამომრჩეველთა რაოდენობა შორს გასცდა აჭარის რეგიონში მაცხოვრებელთა და არა მხოლოდ საარჩევნო ხმის უფლების მქონეთა რაოდენობას) და ქვემო ქართლის ხმები.

სწორედ ამ რეალობის გაცნობიერებამ და არა მაინცადამაინც რომელიმე ოპოზიციური ძალის მხარდაჭერამ გამოიყვანა საზოგადოება, ის ხალხი ქუჩაში, რომელიც ამ დღეებში თბილისის ცენტრში არა ბრბოს ინსტინქტებით, არამედ საოცარი სამოქალაქო შეგნებით გამოირჩევა.







# მე, მიშა სააკაშვილი, არ ვაპირებ დღეს აქედან წასვლას...

*ყველაზე ხშირად გუშინდელ მრავალათასიან მიტინგზე სიტყვა მშვიდობა ისმოდა: "მშვიდობიანი აქცია", "მხოლოდ მშვიდობიანი გზით", "მშვიდად, ყოველგვარი აგრესიის გარეშე"... – ამ ფრაზების წარმოთქმა გუშინდელ მიტინგზე არც ერთ გამომსვლელს არ დავიწყებია. "ჩვენ მშვიდობიანი აქცია გვაქვს," – იმეორებდა 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებით შეურაცხყოფილი ათი ათასამდე მოქალაქე.*

სოფო ბუკია

**"მე, მიშა სააკაშვილი, ჩემი ოჯახის წევრებთან ერთად, არ ვაპირებ დღეს აქედან წასვლას... თუ პრეზიდენტი შევარდნაძე დღის ბოლომდე არ აღიარებს ხალხისა და ოპოზიციის გამარჯვებას, მაშინ შევარდნაძე უნდა გადადგეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხვალ პარლამენტთან მიმდინარე მშვიდობიან აქციას რეგიონებიდან ათასობით ადამიანი შემოუერთდება. ჩვენ არ ვაპირებთ უკან დახევას... ტყუილად ჰგონიათ, რომ ქართველ კაცს ღირსება არა აქვს; ტყუილად ჰგონიათ, რომ ქართველი ხალხი ბრიყვია... მორჩა ბანდიტების და ყაჩაღების ბოგინი საქართველოში, პოლიტიკაში ახალი სისხლი უნდა მოვიდეს... პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიას იქამდე არ გავათავისუფლებთ, სანამ კანცელარია შევარდნაძისგან არ განთავისუფლდება,"** – აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

**"მე არ მინდა ვიყო იმ პარლამენტში, რომელიც თქვენი არჩეული არაა. მე არ შევეგუები იმას, რომ საქართველოს ასობით ათას მოქალაქეს წაართვან არჩევანის უფლება. მე არ შევეგუები საქართველოში დემოკრატიის საბოლოოდ დასამარებას. ხელისუფლებას დღეს აქვს შანსი, ერთხელ მაინც გაიგონოს ხალხის ხმა,"** – ამბობს ნინო ბურჯანაძე.

**"დღეს შევარდნაძის ხელისუფლება დგას კონსტიტუციის გარეთ, იგი ანტიკონსტიტუციური გახდა. მათ არა აქვთ უფლება, თქვენი სახელით ისაუბრონ, მათ თქვენი ნების უზურპაცია გაბედეს. გარწმუნებთ, ჩვენ - ოპოზიციური ძალები - თქვენს გვერდით ვართ, ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ ჩვენი საერთო მომავლისთვის. ჩვენ ვიბრძოლებთ მშვიდობიანად, უიარაღოდ, მაგრამ ბოლომდე და შეუპოვრად,"** – მიმართა მომიტინგეებს ზურაბ ჟვანიამ.

"ნაციონალებისა" და "ბურჯანაძე-დემოკრატების" გვერდით, გუშინ "ერთობის" წარმომადგენლებიც იყვნენ. სხვა ოპოზიციური პარტიები მიტინგს არ დასწრებიან, თუმცა სააკაშვილმა ისინი ერთხელ მაინც ახსენა: **"მივმართავ იმ პარტიებს, რომლებიც თავს ოპოზიციურს უწოდებენ და დღეს ჩვენს გვერდით არ არიან – ხალხი თქვენ მართლა სულელი ხომ არ გგონიათ? თქვენი სიჩუმის სანაცვლოდ, ხელისუფლება თქვენ შვიდპროცენტიანი ბარიერის გადალახვას გპირდებათ. თქვენ გგონიათ, ვერავინ ხვდება, რომ თქვენ ხელისუფლებას გაურიგდით და, აჭარიდან და უცხოეთიდან ჩამოტანილი, ხალხისთვის წართმეული ხმებით დაკმაყოფილდით?"**

გუშინ თავისუფლების მოედანზე ათი ათასამდე ადამიანი ისმენდა გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერთა გამოსვლებს. გუშინ ხალხთან ერთად იყვნენ ვახუშტი კოტეტიშვილი, ლევან ბერძენიშვილი, მიხეილ ქვლივიძე, რამაზ ჩხიკვაძე, გიორგი შენგელაია, დათო მაღრაძე, ლაშა ბუღაძე, დათო ტურაშვილი, შოთა ნადირაშვილი, ზაალ სამადაშვილი, ლაშა ბაქრაძე, გოგი დოლიძე და სხვები.

ოპოზიციონერთა გამოსვლებს პოლიციელთა და სამართალდამცველთა მრავალრიცხოვანი არმიაც ისმენდა, რომლებიც გუშინ წესრიგის დასაცავად ასე უხვად "გამოფინა" ხელისუფლებამ. პოლიციელებსა და მომიტინგეებს შორის გუშინ სულ მცირე შელაპარაკებაც კი არ დაფიქსირებულა. წვიმის მიუხედავად, ოპოზიციურ პარტიათა ლიდერები და მომიტინგეთა დიდი ნაწილი გუშინ გვიან ღამემდე პარლამენტის შენობასთან იმყოფებოდნენ. საღამოს ოპოზიციის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს კიდევ ერთი შეემატა – გაუქმდეს 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგები და დაინიშნოს ხელახალი არჩევნები. ამ მოთხოვნას მომიტინგეები ოვაციებით შეხვდნენ.









# თბილისისკენ მომავალი მომიტინგეები პოლიციის საგუშაგოზე დაცხრილეს

*კახეთიდან თბილისში მომავალ (ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერებს ყველაზე სერიოზული წინააღმდეგობა სოფელ ჩალაუბნის საგუშაგოსთან შეხვდათ. თბილისში მომავალ აქციის მხარდამჭერებს ავტომატებით შეიარაღებული, ნიღბიანი ძალოვანები დახვდნენ და მშვიდობიან მოსახლეობას, რომლებიც ავტობუსებში ისხდნენ, ცეცხლი გაუხსნეს - ავტობუსის საბურავების დაცხრილვის მიზნით. ნიღბიან ძალოვანთა სროლის შედეგად დაიჭრა ავტობუსში მყოფი ნინო ოსეფოვი, რომელიც საგარეჯოს საავადმყოფოში გადაიყვანეს.*

ინგა ალავიძე

პოლიციამ თბილსისკენ მომავალ მშვიდობიან მოსახლეობას თელავის სოფელ აკურის საგუშაგოსთანაც გაუხსნა ცეცხლი. ავტობუსებს, რომლებშიც მომიტინგეთა მხარდამჭერები იმყოფებოდნენ, ავტომატის ტყვიებით საბურავები დაუცხრილეს.

**1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევანის უფლება.**

**2. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან. საქართველოს მოქალაქეს შეუძლია, თავისუფლად შემოვიდეს და გადაადგილდეს საქართველოში.**

საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლით საქართველოს მოქალაქეებისთვის (და არა მარტო მათთვის) მინიჭებული გადაადგილების უფლების შეზღუდვა მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში შეიძლება - თუ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით ქვეყანაში გამოცხადებულია საგანგებო ან საომარი მდგომარეობა. ასეთი გამონაკლისის შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს, ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში შეზღუდოს კონსტიტუციის რამდენიმე მუხლით, მათ შორის - 22-ე მუხლით, განსაზღვრული გადაადგილების უფლება. ოღონდ, საქართველოს პრეზიდენტი ვალდებულია, არა უგვიანეს 48 საათისა ეს გადაწყვეტილება პარლამენტში შეიტანოს დასამტკიცებლად. დღევანდელ სიტუაციაში საქართველოს პრეზიდენტს, თუ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას გადაწყვეტდა, დაუყოვნებლივ უნდა შეეკრიბა პარლამენტი, რომელიც ან დაადასტურებდა მის გადაწყვეტილებას, ან უარყოფდა.

როგორც ცნობილია, საქართველოში საგანგებო მდგომარეობა ოფიციალურად არავის გამოუცხადებია. არადა, საქართველოს მოქალაქეების კონსტიტუციურ უფლებას -გადაადგილების თავისუფლებას – ხელისუფლება, უკვე მერამდენე დღეა, უხეშად არღვევს.

ამ კონსტიტუციური დარღვევის ავტორი, პრეზიდენტ შევარდნაძის დირექტივამიღებული შს მინისტრი კობა ნარჩემაშვილია. თუმცა, არც შს მინისტრსა და არც სამინისტროს რომელიმე სხვა მაღალჩინოსანს, ჯერჯერობით, არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია - თუ რომელი კანონის საფუძველზე შეზღუდა მათმა უწყებამ მოქალაქეების მიმოსვლის უფლება.



გუშინ თბილისის ყველა შემოსასვლელი პოლიციამ სატვირთო ავტომანქანებით გადაკეტა. ქუთაისიდან და ზესტაფონიდან თბილისისკენ მომავალ ავტობუსებს, რომელშიც (ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერები იმყოფებოდნენ, პოლიციელებმა გზა გადაუკეტეს. "ნაციონალების" ქუთაისელ მხარდამჭერებს და პოლიციას შორის შეხლა-შემოხლაც მოხდა. ნაცემია აქციის რამდენიმე მონაწილე და რამდენიმე პოლიციელი.

პოლიციის საგუშაგოებზე პრობლემები შეექმნა კახეთის რეგიონიდან მიკროავტობუსებით და ავტობუსებით თბილისისკენ მომავალ ხალხსაც.

ახმეტის რაიონიდან მომავალ ავტობუსს სოფელ აწყურთან გზა გადაუკეტეს ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებმა. ასეთივე პრობლემები შეექმნათ ლაგოდეხიდან მომავალთაც. იგივე სიტუაცია განვითარდა გორში, სამცხე-ჯავახეთში, თბილისი-სენაკის საავტომობილო გზაზე. გაძლიერებული იყო იგოეთისა და ნატახტარის პოსტების პიკეტირება. თუმცა, დიდი ბრძოლის შემდეგ, ანუ, პოლიციელთა მიერ მოწყობილი ბარიერების გადალახვის შემდეგ, თბილისის აქციის მხარდამჭერთა ნაწილმა დედაქალაქში შემოსვლა მაინც მოახერხა, ხოლო მათ ვინც ვერ შეძლეს თბილისამდე ჩამოსვლა, საპროტესტო აქციები ადგილზე ჩაატარეს.

**(სამართალდამცველი ორგანოები მუშაობის საგანგებო რეჟიმზე არიან გადასული,(** - ასე გაამართლა ქვეყანაში არსებული (საგანგებო სიტუაცია( სახელმწიფო დაცვის სამსახურის უფროსმა სულხან პაპაშვილმა. მისივე მტკიცებით, მშვიდობიანი მომიტინგეების მისამართით არანაირი მექანიზმები არ იქნება გამოყენებული.

პაპაშვილის თქმით, გაძლიერებულია სასიცოცხლო ობიექტების, მათ შორის - კანცელარიის და პარლამენტის დაცვა.

ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის პირველი მოადგილის ჯემალ გახოკიძის ვარაუდით კი, ოპოზიციის აქცია მშვიდობიანად ჩაივლის, თუმცა მისივე თქმით, რაიმე გართულების შემთხვევაში, **"პოლიცია იმოქმედებს განვითარებული მოვლენების შესაბამისად."**

# პრეზიდენტი უკვე... სახლშია







ლელა მჭედლიძე

*სახელმწიფო კანცელარიაში პრეზიდენტთან სათათბიროდ შეკრებილი სახელისუფლებო ბლოკის ლიდერები, რამდენიმე საათიანი შეხვედრის შემდეგ, საზოგადოებას გუშინ წარსულში დაბრუნებით აშინებდნენ.*

**"ოპოზიცია ესწრაფვის, რომ 10 წლის წინანდელი მოვლენები განმეორდეს,"** - ქართველ "სოციალისტთა" ბელადის, ვახტანგ რჩეულიშვილის ამ განცხადებას, გუშინ სახელისუფლებო ბლოკის თითქმის ყველა ლიდერი ეთანხმებოდა. ამასთან ერთად, თითოეული მათგანი, დაწყებული ირაკლი ბათიაშვილით და კანცელარიაში სიარულს ხელახლა შეჩვეული გურამ შარაძით დამთავრებული, მოსალოდნელი პროვოკაციის შესახებ საუბრობდა. სახელისუფლებო ბლოკის საარჩევნო სიის ფორვარდი ვაჟა ლორთქიფანიძე მოსალოდნელი პროვოკაციის თაობაზე პასუხისმგებლობას, ოპოზიციასთან ერთად, ხელისუფლებასაც აკისრებდა. "არასასიამოვნო მოულოდნელობების" თავიდან ასაცილებლად ხელისუფლებამ გუშინ მართლაც მიიღო ზომები, ყველაზე გულმოდგინედ კი - სახელმწიფო კანცელარიის მიდამოებში. აქ პრეზიდენტის სიმშვიდის, უფრო ზუსტად - შინაგან საქმეთა მინისტრის კობა ნარჩემაშვილის განმარტებით - **"პრეზიდენტის ნორმალური მუშაობის და გადაადგილების პირობების შესაქმნელად,"** პოლიციამ და შინაგანმა ჯარებმა, "ყოველი შემთხვევისათვის" გამოძახებულ ორ სახანძრო მანქანასთან ერთად, სახელმწიფო ტერიტორიის გამაგრება ჯერ კიდევ 12 საათიდან დაიწყო. "სახელისუფლებო წინასწარმეტყველების" მიუხედავად, სერიოზული გადატრიალების ტოლფასი პროვოკაცია გუშინ არ მომხდარა.

თუმცა, პრევენციულმა ზომებმა ქვეყნის მეთაური მაინც ვერ გადაარჩინა სიურპრიზს, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი მას საკრებულოს თავმჯდომარედ გახდომის შემდეგ ჰპირდებოდა. გუშინ პრეზიდენტს გადაადგილების თვალსაზრისით გარკვეული ბარიერი გაუჩნდა. "ნაციონალური მოძრაობისა" და "კმარას" აქტივისტებმა ინგოროყვას, ჩიტაძის, ლეონიძის და კანცელარიის მიმდებარე კიდევ სხვა ქუჩები გადაკეტეს. **"თუ რამე მოხდა, მკვეთრი მოძრაობები არ გააკეთოთ, ხელები უკან არ წაიღოთ"...** აფრთხილებდნენ თავიანთ აქტივისტებს "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები. **"თქვენს წინააღმდეგ სისხლის საქმე აღიძრება,"** - ამცნობდა ქალაქის პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე მიხეილ სალაძე მომიტინგეებს. თავად "ნაციონალებსა" და "კმარელებში" ბევრი პოლიციის თუ სახანძროს მიერ ცრემლსადენი გაზით თუ წყლის ჭავლით დარბევასაც არ გამორიცხავდა. კანცელარიაში შინაგან საქმეთა მინისტრი აქციის მონაწილეების "კანონის ჩარჩოებში ჩატევაზე" საუბრობდა. ნარჩემაშვილმა ისიც კი თქვა, რომ შეიძლებოდა აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ საქმე არ აღძრულიყო, თუმცა გენერალური პროკურორი ჟურნალისტებთან საუბრისას ცოტა სხვაგვარი აზრის იყო. გვიან ღამით სახელმწიფო მინისტრთან მისული ვანო ზოდელავა კი აქციის არასანქცირებულობის გამო აპირებდა პასუხის მოთხოვნას.

**"პრეზიდენტი უკვე ერთი საათია, რაც სახლშია,"** - საიდუმლოდ გაუმხილა გვიან ღამით ჟურნალისტების ნაწილს აქციაზე შემთხვევით მოხვედრილმა კანცელარიის პრეს-ცენტრის წარმომადგენელმა. პრეზიდენტი აქციის მონაწილეებს თუ კანცელარიაში გვიანობამდე გამაგრებულ ჟურნალისტებს გუშინ "არც ავლილი და არც ჩავლილი აღარ უნახავთ." შეკრებილებმაც ათი საათისთვის დაშლა გადაწყვიტეს. როგორც აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი აკაკი ბობოხიძე აცხადებდა, **"მათ გუშინ თავის ძირითად მიზანს მიაღწიეს და პრეზიდენტს გარკვეული დისკომფორტიც შეუქმნეს. თუმცა, აქცია უფრო ეფექტიანი მას შემდეგ იქნებოდა, როცა პრეზიდენტს რეზიდენციიდან კანცელარიისკენ მიმავალ გზას გადაუკეტავდნენ, რადგან კანცელარიაში პრეზიდენტი მოსასვენებელ ადგილს ნამდვილად გამონახავს. კრწანისიდან კანცელარიაში მიუსვლელად კი, არა თუ ვერ მოისვენებს, უბრალოდ ვერ იცოცხლებს."** ბობოხიძე დღეისათვის აქციის სწორედ ამ სახით ჩატარებასაც არ გამორიცხავს.

# "ბურჯანაძე-დემოკრატები" - "მახინჯი პარლამენტის" დაშევარდნაძესთან თანამშრომლობის წინააღმდეგ

*ბლოკი "ბურჯანაძე-დემოკრატები" 2 ნოემბრის არჩევნების გაყალბებულ შედეგებს არ ცნობს და მოითხოვს, რომ საქართველომ ახალი პარლამენტი და პრეზიდენტი აირჩიოს. ფილარმონიაში გუშინ გამართულ შეკრებაზე ზურაბ ჟვანია გამოვიდა მოწოდებით, რომ "შევარდნაძის მიერ დანიშნული პარლამენტი" საერთოდ არ შეიკრიბოს. "ბოლომდე ვიბრძოლებთ, რათა ეს მახინჯი პარლამენტი არ შედგეს. ეს აიძულებს შევარდნაძეს, უკან დაიხიოს," - აცხადებს "გაერთიანებული დემოკრატების" ხელმძღვანელი.*

გიორგი ასანიშვილი

ასეთივე რადიკალური განწყობა აქვს ბლოკის ლიდერსაც. ნინო ბურჯანაძის თქმით, "ბურჯანაძე-დემოკრატები" ხელისუფლების ბინძურ თამაშში მონაწილეობას არ მიიღებს, - არც ახალ საკანონმდებლო ორგანოში შევლენ და არც მასთან ითანამშრომლებენ. პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ხელისუფლებას ორი არჩევანი აქვს: ის ან უნდა გაემიჯნოს ხალხს და დაუპირისპირდეს მას, ან შეასრულოს მისი მოთხოვნები.

ფილარმონიაში შეკრებილნი აცხადებენ, რომ **"ამოაყირავებენ შევარდნაძის მიერ მომზადებულ სცენარს, რომელშიც ოპოზიციას მარიონეტის როლი აქვს დაკისრებული."** ჟვანია მოუწოდებს ყველა პოლიტიკურ პარტნიორს, უარი თქვან კოლაბორაციონიზმზე და **"არ ჩაჯდნენ შევარდნაძის სისტემაში".**

**"მე, ბარამიძე და ბურჯანაძე შიგნიდან ვცდილობდით შევარდნაძის სისტემის დანგრევას, მაგრამ ვერ მოვახერხეთ, რადგან, როგორც კი ამ სისტემის შიგნით შედიხარ - მისი ნაწილი ხდები,"** - შევარდნაძესთან ბრძოლის სიძნელეებზე საუბრობს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე.

ზურაბ ჟვანია ქვეყანაში დღეს არსებულ ვითარებას ორი წლის წინათ განვითარებულ მოვლენებს ადარებს და აცხადებს, რომ 2001 წლის ნოემბერში შევარდნაძეს უნდოდა, საზოგადოების ორი ნაწილის პროვოცირება მოეხდინა და ქვეყანაში სამხედრო მდგომარეობა შემოეღო. **"მაგრამ მაშინ მან ყველაფერი ბოლომდე ვერ გათვალა. პრეზიდენტს ვერ წარმოედგინა, რომ პარლამენტის თავმჯდომარეს საკუთარი ნებით შეეძლო გადადგომა,"** - ახლო წარსულს იხსენებს ჟვანია.



მისი აზრით, შევარდნაძე ახლაც არასწორ გათვლას აკეთებს: **"პრეზიდენტს ჰგონია, რომ აღშფოთებული ხალხი ორი კვირა იხმაურებს, შემდეგ ეს ხმაური მობეზრდება და სახლში დაბრუნდება, მისი ბეჭედდასმული პარლამენტი კი ოთხი წელი იმუშავებს."**

"ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერებს მიაჩნიათ, რომ დღეს საქართველომ ისტორიული არჩევანი უნდა გააკეთოს. თუ ხელისუფლებამ თავისი გაიტანა, მაშინ...

**"თქვენს შვილებს, როდესაც ჩემი ხნისანი იქნებიან, მაშინაც არ ექნებათ დემოკრატიულ ქვეყანაში ცხოვრების შანსი,"** - აფრთხილებს ფილარმონიაში შეკრებილ საზოგადოებას ჟვანია და მოუწოდებს მათ, **"არ შეეგუონ იმას, რაც შევარდნაძემ 2 ნოემბრის არჩევნებზე ჩაიდინა."**

"არა - ხელისუფლებასთან თანამშრომლობას და ძალადობას!" - ასეთ სამოქმედო ლოზუნგს ირჩევენ "ბურჯანაძე-დემოკრატები", რომელთა მხარდასაჭერად გუშინ ფილარმონიაში არაერთი ცნობილი სახე მივიდა - რეზო ესაძე, რამაზ ჩხიკვაძე, გიორგი შენგელაია...

**"მათ ხუთ-ხუთ ლარს ვურიგებთ და ამიტომ ესწრებიან ჩვენს თავყრილობას,"** - ასე "აუხსნა" დამსწრე საზოგადოებას ზურაბ ჟვანიამ ფილარმონიაში ხელოვნების მსახურთა სიმრავლე.

ერთ ადამიანსაც ძალიან სურდა გუშინდელ შეკრებაზე მისულიყო, რაზედაც თავაზიანი უარი მიიღო. არსებული ინფორმაციით, ბორის კაკუბავა ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერებს შეეხმიანა და თავისი სამსახური (ფილარმონიაში მხარდამჭერებითურთ გამოცხადება) შესთავაზა, მაგრამ "მასპინძლებმა" მისგან დისტანცირება ამჯობინეს - დღევანდელ რთულ სიტუაციაში კაკუბავასნაირ ოდიოზურ ფიგურებთან ალიანსში შესვლა წამგებიანია.

ერთი საათის შემდეგ შეკრების მონაწილენი თავისუფლების მოედნისკენ გაემართნენ და "ნაციონალების" საპროტესტო აქციას შეუერთდნენ, მოგვიანებით კი, მათთან ერთად პარლამენტის შენობის წინ გადაინაცვლეს.

# უდვრტვინველი ცესკო

გუშინ საარჩევნო კომისიაში არჩევნების წინასწარი შედეგების საერთო სურათი არ შეცვლილა. ამასთან, ცესკო-ს თავმჯდომარემ ნანა დევდარიანმა უარი განაცხადა, კომენტარი გაეკეთებინა ოპოზიციის მრავალათასიანი მიტინგის მოთხოვნებზე, თუმცა დასძინა, რომ ამ მოვლენებს მათ საქმიანობაზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია: **"ცენტრალური საარჩევნო კომისია მუშაობას აგრძელებს და მიმდინარეობს მონაცემების დამუშავება."**

გუშინ ცესკო-ში არც 12 საათისთვის დაგეგმილი სხდომა გამართულა. არადა, დღის წესრიგის თანახმად, კომისიის წევრებს უნდა მიეღოთ გადაწყვეტილება რამდენიმე ათეულ მაჟორიტარულ ოლქში მეორე ტურების დანიშვნის თაობაზე და, ამასთან ერთად, მოესმინათ ინფორმაცია პროპორციული არჩევნების წინასწარი შედეგების თაობაზე.

ცესკო-ს ხელმძღვანელობა სხდომის გადადების მიზეზად საოლქო კომისიებში შექმნილ ვითარებას ასახელებს. თანაც, ნანა დევდარიანის თქმით, ძალიან ბევრი საჩივარია შესული სასამართლოებში და სასამართლო გადაწყვეტილებები ჯერაც არ არის გამოტანილი. **"არც იმას გამოვრიცხავ, რომ ბევრი საქმე პროკურატურის გამოსაძიებელი იყოს,"** – ამბობს ცესკო-ს თავმჯდომარე.

რაც შეეხება წინასაწარ მონაცემებს, ცესკო-ს ხელმძღვანელობა გუშინ აცხადებდა, რომ **"ძალიან ბევრს ცესკო-ს ვებ-გვერდზე განთავსებული მონაცემები საბოლოო ჰგონია და ამის გამო ცესკო-ს ხშირად უწევს იმის განმარტება, რომ ეს ციფრები ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან ოლქებში და სასამართლოებში საჩივრების განხილვა გრძელდება."**

ცესკო-ს თავმჯდომარე გაღიზიანებულია იმ კომენტარებით, რომელიც პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების მხრიდან ცესკო-ს მისამართით ისმის და აცხადებს, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია მუშაობას ერთი წუთითაც არ წყვეტს.

ამის მიუხედავად, ცესკო-დან გუშინ ნამდვილად ჭირდა რაიმე ახალი ინფორმაციის მიღება. თუ არ ჩავთვლით ლაგოდეხს, სადაც, როგორც გაირკვა, მეორე ტური არ დაინიშნება და მაჟორიტარულ არჩევნებში გამარჯვებული - უშიშროების მინიტსრის ექს-მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილი იქნება. ასევე, არაოფიციალური ინფორმაციით, ოქმები ჩამოსულია ქვემო ქართლიდან და ქუთაისიდანაც.

გუშინ ცესკო-ში სახელისუფლებო ბლოკის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი მინდელი იმყოფებოდა, რომელიც, ჟურნალისტებთან შინაურულ საუბრებში იმასაც აცხადებდა, რომ შედეგების საერთო სურათის გათვალისწინებით, ბლოკმა "ახალი საქართველოსთვის" 35 მანდატი დაისაკუთრა, ცოტა ნაკლები – "აღორძინებამ".

*24 საათი*